ადრეული განათლების ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი

ადრეული განათლების ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი

Norwegian Ministry of Foreign Affairs

Statped

unicef for every child

არც ერთი ბავშვი განათლების გარეშე
ინკლუზიური, თანასწორი და ხარისხიანი სკოლამდელი და ზოგადი განათლება ბავშვებისთვის საქართველოში

LEAVE NO CHILD OUT
Inclusive, Equitable and Quality Preschool and General Education for Children in Georgia

თბილისი

2022

ლექსიკონში წარმოდგენილია ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარებასა და განათლებასთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინები და ცნებები. იგი განკუთვნილია ადრეული განათლების სპეციალისტებისთვის, ადრეული ასაკის ბავშვებთან მომუშავე პრაქტიკოსებისთვის, ადრეული საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლებისათვის, ადრეული ასაკის ბავშვთა მშობლებისთვის, სტუდენტებისთვისა და ადრეული განათლების საკითხებით დაინტერესებული სხვა პირებისთვის.
ლექსიკონში განმარტებები ადრეული ბავშვობისა და ადრეული განათლების კონტექსტის შესაბამისია, ზოგიერთ ტერმინი შესაძლებელია სხვა კონტექსტში განსხვავებული მნიშვნელობით იხმარებოდეს.

პუბლიკაცია მომზადებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ნორვეგიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებები არაა აუცილებელი ასახავდეს ნორვეგიის მთავრობის ან გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.

© ილიას სახელმიწიფო უნივერსიტეტი 2022

ავტორები
ნინო ცინცაძე, ნინო ჯიჯავაძე

რედაქტორი
თამთა კუხალეიშვილი

ა

აბილიტაცია – აბილიტაციისას პირი იძენს და ინარჩუნებს ახალ ფუნქციურ უნარებს, რომელიც მანამდე არ ჰქონია განვითარების შეფერხების, ტრავმის ან დაავადების გამო.

აბსტრაქტული აზროვნება – აზროვნების სახე, რომელიც ხასიათდება ჰიპოთეტური ან სიმბოლური იდეებისა და ცნებების გამოყენებით. იდეების თვისებების განხილვა ან ცნებებს შორის მიმართებების გააზრება ობიექტების უშუალოდ არსებობის გარეშე ხდება.

აგრესია – ქცევა, რომელიც ფიზიკური, ან ვერბალური ხასიათისაა და გულისხმობს მუქარას, ან ვინმეს ან რამეს დაზიანებას.

ფიზიკური აგრესია – ქცევა, რომელიც ფიზიკურ ზიანს, ტკივილს აყენებს ადამიანს: ცემა, თმის მოქაჩვა, ჩქმეტა და ა.შ.

ვერბალური აგრესია – ქცევა, რომელიც ფსიქოლოგიური ზიანის მომტანია: ყვირილი, სიტყვიერი შეურაცხყოფა, გინება და ა.შ.

ადრეული ბავშვობა – ადრეული ბავშვობის პერიოდად სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვა ასაკს განსაზღვრავენ. იუნესკოს დეფინიციით ესაა დაბადებიდან სკოლაში წასვლამდე და ასევე სკოლაში ტრანზიციის პერიოდი, ანუ დაბადებიდან 8 წლამდე პერიოდი.

ადრეული განათლება – სკოლის პერიოდის დაწყებამდე, ბავშვისთვის ორგანიზებული საგანმანათლებლო პროგრამები/მომსახურება, რომლის ფარგლებშიც ბავშვის განვითარება, სწავლა და მასზე ზრუნვა ერთიან პროცესად არის მოაზრებული.*

ადრეული ინტერვენცია – არის პროგრამა, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება, სკოლამდელ ან ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება, შესაძლებლობის შეზღუდვისა და მიტოვების პრევენცია.

ადრეული ინტერვენციის პროგრამა – სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო ქვე-პროგრამაა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

ადრეული წიგნიერება – კითხვისა და წერის წინა უნარები, რომელიც ბავშვს უვითარდება დაბადებიდან წერა-კითხვის ფორმალურ სწავლამდე. ადრეული წიგნიერება მოიცავს ბავშვის შემდეგ უნარებს: წიგნისადმი, ნაწერისა და ნაბეჭდი ტექსტისადმი ინტერესი, ასოებითა და მარცვლებით თამაშის ინტერესი, ნარატიული (თხრობის) უნარების თანდათანობითი განვითარება.

ავტონომიურობა – დამოუკიდებლად მოქმედება. ავტონომიურობას,

---

* ალელიშვილი, ნ., ჯანელიძე. ა., ჯიჯავაძე, ნ., & კუხალეიშვილი, თ. (2019). გარემო, რომელსაც უყვარს ბავშვი. გაეროს ბავშვთა ფონდი.

რომელიც ზოგადად, დამოუკიდებლობას აღნიშნავს, რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ავტონომიურობა შესაძლებელია იყოს პოლიტიკური, მორალური და პიროვნული. ადრეული განათლებისთვის ავტონომიურობის პიროვნული კონტექსტია მნიშვნელოვანი. პიროვნული ავტონომიურობა ჩამოყალიბებას წლინახევრიდან სამი წლის ასაკში იწყებს და საკუთარი თავის განსაზღვრის მნიშვნელოვანი ელემენტია. პიროვნული ავტონომიურობა არის ადამიანის შესაძლებლობა თავად მიიღოს გადაწყვეტილებები და იმოქმედოს ამ გადაწყვეტილებების შესაბამისად.

აკომოდაცია – კოგნიტური ადაპტაციის ფორმა, რომელიც აღწერს იმას, თუ როგორ ხდება არსებული მენტალური სქემების ცვლილება, რათა ახალი ინფორმაციის მიღება/დასწავლა მოხდეს. ამ პროცესში ხდება უკვე არსებული ცნებების ცვლილება ახალი გამოცდილების შესაბამისად. მაგ-ად, ბავშვმა იცის რომ ძაღლი არის ოთხფეხა ცხოველი და ხედავს კატას, რომელიც ჯერ ძაღლი გონია, სწორი ინფორმაციის მიღების/დაკვირვების შემდეგ კი ის სწავლობს ძაღლისა და კატის გარჩევას. ეს პროცესი მიმდინარეობს ასიმილაციის პროცესთან პარალელურად ან ალტერნატიულად. (ასევე იხ. **ასიმილაცია**)

ალტერნატიული კომუნიკაცია – გულისხმობს სამეტყველო ენის ჩანაცვლებას კომუნიკაციის არა-სამეტყველო ფორმებით, იმ ადამიანთან, რომელსაც მეტყველება არ შეუძლია. ეს შეიძლება იყოს კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმა, ადამიანის საჭიროებიდან გამომდინარე – (ხელით მინიშნება, ჟესტიკულაცია, საგნები, ფოტოები, გრაფიკული გამოსახულებები, მორზეს კოდი ან ნაწერი) მასთან პირისპირ კომუნიკაციის დასამყარებლად.

ანალიტიკური აზროვნება – აზროვნების სახე, რომელიც გულისხმობს ინდივიდის უნარს, მიიღოს მისი ინტერესებისა და მიზნების შესაბამისი ინფორმაცია, დაახარისხოს იგი, გამოყოს საკვანძო საკითხები, განასხვაოს ინფორმაციის არსებითი და არაარსებითი ასპექტები, შეაჯეროს და ერთმანეთს შეადაროს სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია, გამოავლინოს მიზეზშედეგობრივი კავშირები, მიიღოს გადაწყვეტილება, გააკეთოს დასკვნები და გადაჭრას პრობლემები.

არადისკრიმინაციული გარემო – გარემო, რომელშიც დაცული და უზრუნველყოფილია თითოეული ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი, რომელიც ითვალისწინებს როგორც სიცოცხლისა და ჯანსაღი განვითარების უფლებას, ასევე ბავშვის ინდივიდუალურ შეხედულებებს. გარემო, სადაც თანასწორად ეპყრობიან ყველას მათი რასობრივი, ეროვნულ, სოციალური წარმომავლობის, რწმენის, პოლიტიკური შეხედულებების, ფიზიკური თუ ინტელექტუალური შესაძლებლობების ან სხვა მახასიათებლის მიუხედავად.

არავერბალური კომუნიკაცია – კომუნიკაციისთვის ისეთი არასიტყვიერი საშუალებების გამოყენება, როგორიცაა მიმიკა, ჟესტები, სხეულის პოზა და ა.შ.

არეკვლა – ბავშვის სხეულის ენის, გამომეტყველების, მეტყველების სარკისებური არეკვლა, კოპირება. ეს სტრატეგია გამოიყენება რათა მათდამი ჩვენი ინტერესი

გამოვხატოთ და ისინი ორმხრივ ინტერაქციაზე გამოვიწვიოთ.

ასერტულობა – უნარი, გამოხატო საკუთარი სურვილები, გრძნობები, საჭიროებები და დაიცვა საკუთარი უფლებები ისე, რომ ანგარიში გაუწიო სხვების გრძნობებს და არ დაარღვიო მათი უფლებები.*

ასიმილაცია – კოგნიტური ადაპტაციის ფორმა, რომელიც აღწერს იმას, თუ როგორ უსადაგებს ბავშვი ახლ ინფორმაციას არსებულს მენტალურ სქემებს. ამ პროცესში ხდება ახლად ნასწავლი/ათვისებული იდეების უკვე ნაცნობი ცოდნასთან მისადაგება. მაგ-ად ბავშვმა იცის ძაღლის მნიშვნელობა და ხვდება განსხვავებული ჯიშის ძაღლი, ის კი ამოიცნობს რომ ეს ძაღლია. ეს პროცესი მიმდინარეობს აკომოდაციის პროცესთან პარალელურად ან ალტერნატიულად. (ასევე იხ. **აკომოდაცია**)

აქტიური მოსმენა – პროცესი, როდესაც სხეულის ენით აჩვენებ ბავშვს, რომ უსმენ, მისკენ ხარ გადახრილი, იმყოფები მის სიმაღლეზე, უყურებ ყურადღებით და ინტერესით ელოდები მის ნათქვამს.

აღმასრულებელი ფუნქციები – დაგეგმვის, გადაწყვეტილების მიღების, პრობლემის გადაჭრის, ქმედების დანაწევრების და თანმიმდევრობის დაცვის, როლების მინიჭების და ორგანიზების, იმპულსების კონტროლისა და მიზანზე ორიენტირებულობის, მოქნილობისა და კონფლიქტების გადაჭრის მაღალი დონის კოგნიტური პროცესი.

აღზრდა – ტრადიციული, ადრეულ ასაკთან მიმართებაში გამოყენებული ტერმინი; მოიაზრებს „ბავშვის პიროვნებად, საზოგადოების წევრად ჩამოყალიბების, მისი სოციალიზაციის, საზოგადოებისთვის სასურველი და მისაღები ქცევების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბების პროცესს“**.

* საქართველოს მთავრობა (2017). დადგენილება #488 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838798

** ჯანელიძე. ა., (2017) ადრეული აღზრდა თუ განათლება? ჩამოტვირთულია 2022 წლის 24 სექტემბერს, http://mastsavlebeli.ge/?p=14115

ბ

ბავშვის განვითარების თეორიები – სამეცნიერო თეორიები ბავშვის განვითარების შესახებ, რომლის მიზანია იმის ახსნა, თუ როგორ იცვლებიან და იზრდებიან ბავშვები ბავშვობის პერიოდში. ასეთი თეორიები ორიენტირებულია განვითარების სხვადასხვა ასპექტზე, მათ შორის სოციალურ, ემოციურ და შემეცნებით ზრდაზე. ბავშვის განვითარების საყოველთაოდ ცნობილი თეორიებია, მაგ.-ად: პიაჟეს კოგნიტური თეორია, ლევ ვიგოტსკის სოციო-კულტურული თეორია, ალბერტ ბანდურას სწავლის სოციალურ-კოგნიტური თეორია, ურიე ბრონფენბრენერის ეკოლოგიური სისტემების თეორია და ა.შ.

ბავშვზე ორიენტირებული განათლება – მიდგომა, რომელიც ფოკუსირებულია ბავშვის საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებზე [...]. ბავშვზე ორიენტირებული განათლების მახასიათებლებია: (1) ბავშვი – ინდივიდი უნიკალური პიროვნული მახასიათებლებით და გამოცდილებით, შესაძლებლობებით, ინტერესებით და საჭიროებებით; (2) გარემო – როგორც ფიზიკური, ასევე სოციალური გარემო, სადაც დაცულია ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება, სადაც თითოეული ბავშვი ჯგუფის წევრად გრძნობს თავს; (3) შინაარსი – შინაარსი ითვალისწინებს ბავშვის ჰოლისტურ და მრავალმხრივ განვითარებას, ამავე დროს, შინაარსი შეესაბამება ბავშვების კულტურულ და სოციალურ კონტექსტსა და გამოცდილებას; (4) პროცესი – იყენებს თამაშს, როგორც სწავლისა და განვითარების ძირითად სტრატეგიას; ეფუძნება ინტეგრირებული სწავლების პრინციპებს; ბავშვს აძლევს ინიციატივისა და არჩევანის შესაძლებლობას; (5) შედეგი – რისი მიღწევა გვინდა ბავშვებთან. ბავშვზე ორიენტირებული განათლების ძირითადი პრინციპებია: ინკლუზიურობა, ეფექტიანობა და რელევანტურობა, ჯანსაღი გარემო, უსაფრთხოება და დაცულობა, გენდერული თანასწორობა, ჩართულობა. *

ბილინგვური განათლება – ორენოვანი განათლება – განათლების ტიპი, სადაც სწავლებისთვის გამოიყენება, სულ მცირე, ორ ენა. მაგ.-ად, ერთი ენაა ის, რომელზეც ბავშვები ოჯახში საუბრობენ, ხოლო მეორე სახელმწიფო, არსებული გეოგრაფიული არეალის ენა (რომელიც განსხვავებულია ბავშვის მშობლიური ენისგან) ან არსებული გეოგრაფიული არეალის ენა (რომელიც ემთხვევა ბავშვის მშობლიური ენას) და უცხო/მეორე ენა.

ბილინგვიზმი – ორენოვნება. ორი ენის გამოყენება ერთი და იმავე ენობრივი ერთობის წევრთა მიერ სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში. ორენოვნება ზოგჯერ მთელ სახელმწიფოსთან მიმართებით იხმარება, ზოგჯერ რომელიმე

* ალელიშვილი, ნ., ჯანელიძე. ა., ჯიჯავაძე, ნ., & კუხალეიშვილი, თ. (2019). გარემო, რომელსაც უყვარს ბავშვი. გაეროს ბავშვთა ფონდი.

საზოგადოებასთან მიმართებით, ზოგჯერ კი სულაც იმ ინდივიდის მიმართ, რომელიც ორ ენას თანაბრად ფლობს. ორენოვნება ზოგჯერ იხმარება განზოგადებული, მრავალფეროვნების მნიშვნელობით.

ბულინგი – ხანგრძლივი, მიზანმიმართული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ერთი პირის ან ჯგუფის მხრიდან მეორე პირზე ან ჯგუფზე, რომელსაც არ შეუძლია საკუთარი თავის დაცვა მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში.* განასხვავებენ ბულინგის შემდეგ ფორმებს: ფიზიკური ბულინგი, ვერბალური ბულინგი, სოციალური ბულინგი და კიბერბულინგი (იხ. **კიბერბულინგი**).

* Lane, D. A. (1989). Bullying in School: The Need for an Integrated Approach. School Psychology International, 10(3), 211–215.

გ

განათლება – ცოდნის, ღირებულებისა და უნარ-ჩვევების გადაცემისა და კონსტრუირების დინამიური პროცესი

განვითარება – პროცესი, რომელიც გულისხმობს ფიზიკურ და ფსიქიკურ ზრდას, ბავშვის მიერ უნარების შეძენას სხვადასხვა სფეროში: სოციალურ – ემოციური, შემეცნებითი, ფიზიკური.

განვითარების ნიშნულები – რომელიც აღწერს უნარებისა და კომპეტენციების შეძენის მოსალოდნელ, მიყოლებით თანმიმდევრობას, რომლებსაც ბავშვები ჩვეულებრივ იძენენ. ფიზიკური, გონებრივი, სოციალური და ემოციური ზრდის საფეხურები, რომელსაც ბავშვი გადის ზრდის პროცესში.

განვითარების შეფერხება – ბავშვის განვითარება ასაკობრივი მოთხოვნების მოლოდინებთან მიმართებით შენელებულია/ დაგვიანებულია. სიმპტომები მოიცავს, მოტორული, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური და ენობრივი სფეროების ნელი ტემპით განვითარებას. შესაძლებელია შეფერხება განვითარების მხოლოდ ერთ სფეროს ეხებოდეს, მაგ.-ად, მხოლოდ ენობრივ, მაშინ ეს აღარ იქნება ზოგადი განვითარების შეფერხება, არამედ, სპეციფიკურად ენობრივი განვითარების შეფერხება.

განვითარების დარღვევა – 22 წლამდე პირის მენტალური და/ან ფიზიკური, ქრონიკული მდგომარეობა, რომელიც იწვევს ფუნქციონირების შეზღუდვას ძირითადი ცხოვრებისეული აქტივობების სამ ან მეტ სფეროში.

განვითარების აქტუალური ზონა – განვითარების აქტუალური ზონა უნარებისა და ამოცანების ის დიაპაზონია, რომლის შესრულებაც ბავშვს დამოუკიდებლად, სხვების დახმარების გარეშე შეუძლია. როდესაც აღმზრდელი ამ ზონის აქტივობებს სთავაზობს ბავშვს, ბავშვი წარმატებული იქნება, მაგრამ ეს პროცესი ნაკლებად უჭერს მხარს მის შემდგომ განვითარებას.

განვითარების უახლოესი ზონა – განვითარების უახლოესი ზონა – უნარებისა და ამოცანების დიაპაზონია, რომელიც ყველაზე ახლოს დგას ბავშვის განვითარების არსებულ, აქტუალურ ზონასთან, მაგრამ რომელთა შესრულებაც მას მხოლოდ მასზე კომპეტენტური პირის მხარდაჭერითა და წახალისებით შეუძლია. როდესაც უფროსი განვითარების უახლოესი ზონის აქტივობებს სთავაზობს ბავშვს, მას ეძლევა განვითარების უკეთესი ასპარეზი.

განვითარების სფეროები – ინდივიდის ზრდისა და ცვლილების სპეციფიკური ასპექტების შესაბამისი პირობითი დაჯგუფებები. განვითარების სფეროებად დანაწევრებას ახდენენ ამ სფეროების შესწავლის ან/ და ხელშეწყობის გამარტივების მიზნით. შესაბამისად გვხვდება ხოლმე განვითარების სფეროების განსხვავებული ჩამონათვალი. ძირითადი განვითარების სფეროებია:

ფიზიკური, შემეცნებითი სოციალური და ემოციური.

გამოწვევის შექმნა – საგანმანათლებლო მიდგომა – ისეთი კითხვის დასმა, იმგვარი სიტუაციის შექმნა, მასალის იმგვარად ორგანიზება ან გარემოს ისე მოწყობა, რომ ბავშვს ვუბიძგოთ დაფიქრებისკენ, გამოსავლის ძიების, დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღებისკენ ანუ კვლევითი და შემოქმედებითი ქცევისკენ.

განვრცობა – ექსპრესული ენის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგია. ბავშვის მიერ სპონტანურად ნათქვამი ფრაზის გამეორება გარკვეული გამოტოვებული ერთი ან ორი ელემენტის დამატებით, მაგ.-ად, ბავშვმა დაინახა ლეკვი და ამბობს: ლეკვი! უფროსი იმეორებს ბავშვის ფრაზას და ამატებს ერთ ელემენტს – თეთრი ლეკვი ან ლეკვი წევს ან 2 ელემენტს: თეთრი ლეკვი წევს.

განშორების შფოთვა – განშორებასთან დაკავშირებით მაღალი შფოთის მქონე ბავშვებს უჭირთ მშობლებთან ან სხვა მზრუნველთან განშორება, ტირიან და ეხვევიან მათ. განშორების შფოთვა ბავშვის განვითარების ნორმალური თანმდევი მოვლენაა, ის გამოვლენას იწყებს დაახლოებით 8 თვის ასაკიდან და პიკს 14-18 თვის ასაკში აღწევს და ნელ-ნელა იკლებს ადრეული ბავშვობის ასაკში.

გარემო ფაქტორები – გარემოში არსებული ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს პროცესზე, მოვლენაზე, ინდივიდზე – მის ქცევაზე, ფსიქიკურ მდგომარეობაზე ან სხვა.

გაშეშება – პასიური აცილების ფორმა, რომლის დროსაც ინდივიდი უმოძრაოდ რჩება და არ ცდილობს გაქცევას ან დამალვას ან შეტევას. ასეთი ქცევა ყველაზე ხშირად შეინიშნება, როგორც მწვავე რეაქცია აღქმულ საშიშ, სტრესულ სიტუაციაზე.

გაძღოლა – ბავშვისთვის შინაგანი კონტროლის გამომუშავებაში დახმარების აღმოჩენა, ქცევითი პრობლემების მიმართ პრევენციული მიდგომების გამოყენება, სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარება, ბავშვის აქტიურ თანამონაწილეობაზე დაფუძნებით.

გონების თეორია – შემეცნებითი უნარი, იმის გაგება, რომ სხვებსაც აქვთ აზრები და რწმენები, რომელსაც შენგან განსხვავებული პერსპექტივა შეიძლება ქონდეს. ამ უნარის ათვისების გარეშე, ვერ სწავლობენ, როგორ გაუმკლავდნენ მათ გარშემო არსებულ რთულ სოციალურ ინტერაქციებსა და გამოწვევებს (ასევე იხ. **სხვისი პერსპექტივის გაგების უნარი**).

გულისხმიერი კომუნიკაციური პარტნიორი – ადამიანი, რომელიც ბავშვთან ხშირ ურთიერთობაშია და რომლის საკომუნიკაციო სტილიც ბავშვის მიმართ არის მგრძნობიარე, ყურადღებიანი და პასუხისმგებლიანი. (შესაძლოა ლიტერატურაში სინონიმად შეგხვდეთ რესპონსული კომუნიკაციური პარტნიორი).

დ

დაკვირვება – თვალყურის დევნება რაღაცაზე ან ვიღაცაზე. დაკვირვების დროს შეგროვებული მონაცემები – შემჩნეული, შეგრძნებული, დანახული ან/და გაგონილი იწერება ან ინიშნება. დაკვირვების პროცესი შესაძლებელია განსხვავებული იყოს ფორმით (ასევე იხ. **დინამიური შეფასება, ობიექტური დაკვირვება, ჩრდილში დაკვირვება**). ბავშვზე დაკვირვება არაფორმალური შეფასების ერთ-ერთი საშუალებაა.

დამოკიდებულება – ადამიანის თვალსაზრისი, შეხედულება რაიმეს ან ვინმეს მიმართ. დამოკიდებულება ადამიანის ემოციური სფეროს ნაწილია და იგი გამოხატავს იმას, თუ რას ვანიჭებთ უპირატესობას, რა მოგვწონს ან რა არ მოგვწონს, რა არის მნიშვნელოვანი ან რა არ არის მნიშვნელოვანი. დამოკიდებულებები ეფუძნება ადამიანის ღირებულებებს.*

დინამიური შეფასება – არაფორმალური შეფასების სახე, როდესაც ინდივიდს აკვირდები მისთვის ბუნებრივი საქმიანობის შესრულებისას, დროდადრო ერთვები ამ საქმიანობაში და სთავაზობ ისეთ ცვლილებებს/გამოწვევებს, რომელზე რეაქციაც/შესრულების ხარისხიც გაინტერესებს.

დისკრიმინაცია – ადამიანის უფლებების შელახვა რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური, სოციალური, გენდერული,შესაძლებლობების შეზღუდულობის ანდა სხვა განმასხვებელი ნიშნით (ასევე იხ. პოზიტიური დისკრიმინაცია).

დისციპლინა მიღებული წესებისა და ქცევის ნორმების სწავლება და მათი დაცვის მოთხოვნა.

* საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. (n.d.). Retrieved September 14, 2022, from http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16448

ე

ეგოცენტრულობა – მცირე ასაკის ბავშვებისთვის დამახასიათებელი მდგომარეობა, როდესაც მათ ჯერ კიდევ არ აქვთ განვითარებული უნარი მოვლენები სხვა ადამიანის პერსპექტივიდანაც დაინახონ (მაგ.-ად დადასტურების ნიშნად თავის დაქნევა ტელეფონით საუბრისას და იმის ვერ გააზრება, რომ თანამოსაუბრე შენი თავის დაქნევას ვერ ხედავს).

ეკზეკუციური ფუნქციები – იხ. აღმასრულებელი ფუნქციები

ემერჯენტული კურიკულუმი – კურიკულუმი, რომლის შინაარსიც თანდათან, საგანმანათლებლო პროცესში ყალიბდება და ვითარდება. ამ ტიპის კურიკულუმებში უფროსის მიერ ინიცირებული აქტივობები ნაკლებია, საგანმანათლებლო პროცესი მთლიანად მიჰყვება თითოეული ბავშვს და მის ინტერესებს, შესაბამისად საგანმანათლებლო პროცესი ინდივიდუალიზირებულია და თითოეული ბავშვისთვის შესაძლოა სხვადასხვანაირად მიმდინარეობდეს.

ემოცია – რთული, შინაგანი, მრავალგანზომილებიანი მდგომარეობაა. მას ადამიანი რეალური, დამახსოვრებული, ან წარმოსახვითი სიტუაციის, მოვლენის ან ინტერაქციის საპასუხოდ განიცდის. ემოციური მდგომარეობის დაყოფა მისი ბუნების, ხარისხის ან პოლარობის მიხედვით შეგვიძლია. ამაში შედის დადებითი ემოცია, როგორიცაა აღტაცება და სიხარული ან უარყოფითი ემოცია, როგორიცაა ბრაზი ან შფოთვა. ემოციის აღწერა ასევე შესაძლებელია სპექტრულად მისი ინტენსივობის აღწერითაც (მაგ.-ად, სიხარული თუ ეიფორია, მწუხარება თუ სასოწარკვეთილება).

ემოციის ინტენსივობა – უკავშირდება ინდივიდის მიერ განცდილი ემოციური აგზნების დონეს. ემოციის ინტენსივობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქცევასა და ყოველდღიურ უნარებზე. მეტად ექსტრემალური და ინტენსიური ემოციური გამოცდილება ადამიანის უნარებზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს, მიუხედავად ემოციური პოლარობისა (დადებითი თუ უარყოფითი). როგორც უკიდურესად უარყოფითი ემოცია (მაგ.-ად, უკიდურესი ბრაზი ან შფოთვა), ისე უკიდურესად დადებითი ემოცია (მაგ.-ად, დიდი სიხარული და აღფრთოვანება) მკვეთრად ზემოქმედებს ყურადღებაზე, კომუნიკაციისა და პრობლემის გადაჭრის უნარებზე. ასეთ დროს ადამიანს უნდა შეეძლოს ემოციური აგზნების რეგულაცია (იხ. ემოციის რეგულაცია), რათა შეძლოს ქცევის ადაპტურ რიტმს დაუბრუნდეს.

ემოციური კომპეტენციები – ამ კომპეტენციების ნაწილი საკუთარ თავს მიემართება, ანუ ინტრაპერსონალურია, ესენია: საკუთარი ემოციების ამოცნობა, თვითცნობიერება და თვითრეფლექსია, ხოლო ნაწილი ინტერპერსონალურია, ანუ სხვებთან ურთოერთობების დამყარების უნარებს მოიცავს, ესენია: სხვისი

ემოციების ამოცნობისა და გაგების უნარი, იმპულსების კონტროლი, მოსმენისა და ემპათიის უნარები, ასევე გადაწყვეტილების მიღებისა, ბრაზის მენეჯმენტის უნარები.

ემოციური რეგულაცია – ემოციური რეაქციების მორგება შინაგანი ცვლადებისა და ფიზიკური და სოციალური გარემოს საპასუხოდ. ეს ასევე მოიცავს უკიდურესი ემოციური რეაქციისა და დისრეგულაციის შემდგომ აღდგენას (დამშვიდებას) და მიზანმიმართულ ან სოციალურ აქტივობებში ჩართვას. *ემოციუh hეგუღაციას* განიხილავენ როგორც " შინაგან და გარეგან სხეულებრივ ფაქტორებს, რომლებიც ემოციურ აგზნებას აძლევს მიმართულებას, აკონტროლებს, მოდულირებას უწევს და ცვლის, რათა ადამიანმა ადაპტურად ქცევა შეძლოს"*.

ემპათია – არის უნარი წარმოიდგინო რას გრძნობს, რას განიცდის სხვა კონკრეტულ სიტუაციაში და გამოიჩინო ზრუნვა მის მიმართ (მაგ.-ად, ბავშვი სანუგეშებლად ამხანაგს თავის საყვარელ სათამაშოს სთავაზობს).**

ენა – შეთანხმებული სიმბოლოების რთული და ცვალებადი სისტემა, რომელიც სხვადასხვა მოდალობებში (წერითი, ზეპირი, ჟესტური) გამოიყენება კომუნიკაციისა და აზრების ორგანიზებისთვის. მენტალური უნარი ისწავლო და გამოიყენო სიმბოლოთა კოდები და წესები, რათა შეგეძლოს კომუნიკაცია არსებულ და არარსებულ რეალობაზე.

ენისა და მეტყველების განვითარება – ენის განვითარება ნიშნავს მოცემული ენის შინაარსის (სემანტიკა, ლექსიკა), ფორმის (ფონოლოგია, მორფო-სინტაქსი) და ფუნქციის (გამოყენება) ათვისების პროცესს, როგორც გაგების, ასევე გამოხატვის თვალსაზრისით. ენობრივ განვითარებას ადრეული ბავშვობიდან ეყრება საფუძველი და ყველაზე სწრაფად დაბადებიდან 4-5 წლამდე მიმდინარეობს. მეტყველების განვითარება არის მოტორული მზაობა, რათა ბავშვმა მის მშობლიურ ენაზე (ან ენებზე) დაიწყოს საუბარი. მეტყველების განვითარებას საფუძველი ეყრება ღუღუნითა და ტიტინით; პირველი სიტყვების წარმოთქმას ბავშვი 1 წლის ასაკიდან იწყებს, ხოლო 5 წლის ასაკისთვის მას უკვე შეუძლია უშეცდომოდ (ან მინიმალური შეცდომებით) გამოიყენოს მშობლიური ენის ყველა ფონოლოგიური კომბინაცია სხვადასხვა სიტყვებსა და წინადადებაში.

ენისა და მეტყველების თერაპევტი – ენისა და მეტყველების თერაპიის საბაკალავრო ან სამაგისტრო დიპლომის მქონე ადამიანი, რომელიც მუშაობს კომუნიკაციის სირთულის მქონე პირებთან და ეხმარება მათ ფუნქციური კომუნიკაციური უნარების განვითარებაში.

ექსტერნალიზებული ქცევა – ემოციური რეგულირების სირთულისთვის დამახასიათებელი ქცევა, რომელიც გარეგნულად გამოიხატება – აგრესია, ტანტრუმი და სხვა.

---

* Rubin, E., Prizant, B. M., Laurent, A. C., & Wetherby, A. M. (2013). Social communication, emotional regulation, and transactional support (SCERTS). In Interventions for autism spectrum disorders (pp. 107-127). Springer, New York, NY.

** საქართველოს მთავრობა (2017). დადგენილება #488 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838798

3

ვერბალური კომუნიკაცია – სიტყვების, საუბრის საშუალებით მიმდინარე კომუნიკაცია.

ვიზუალური მინიშნებები – დანახვადი მიმანიშნებლები, რომელიც მოგვაწოდებს ან ხაზს უსვამს მნიშვნელოვან ინფორმაციას. ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ნივთები, სურათები, სიმბოლოები ან/და ტექსტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას რუტინის, ქცევის ან საქმიანობის შესახებ. მაგ.-ად, ცენტრების, ხელის დაბანის თანმიმდევრობის ვიზუალური განრიგი ან კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიის ვიზუალური მინიშნებები და ა.შ.

ვიზუალური განრიგი – დღის რუტინის ან რაიმე საქმიანობის თანმიმდევრობის გამომხატველი ბარათები ან პლაკატი, რომელზეც სიმბოლოების ან სურათების გამოყენებით ასახულია ინფორმაცია (დროის, საქმიანობის ან/და ადგილის შესახებ) და რომლებიც ბავშვებს საქმიანობების თანმიმდევრობას მიანიშნებენ.

8

ზედა დონის სააზროვნო უნარები – ანალიზის, ორგანიზების, შემოქმედებითობის და პრობლემის გადაჭრის უნარები.

ზრუნვა – ისეთი გარემოს შექმნა, სადაც უზრუნველყოფილია ინდივიდის ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, კეთილდღეობა და განვითარების შესაძლებლობები.

თ

თამაში –საქმიანობა, რომლითაც თვითნებურად ვკავდებით სიამოვნების მიღების ან განტვირთვის მიზნით. თამაში ასევე შესაძლებელია განსაზღვრული იყოს, როგორც პროცესი რომელსაც ახასიათებს დადებითი ემოცია, არარეალურობა, შინაგანი მოტივაცია, პროცესზე ორიენტაცია და თავისუფალი არჩევანი.*

თემატური კურიკულუმები – საგანმანათლებლო პროცესის აგება ბავშვებისთვის საინტერესო თემის ირგვლივ, როდესაც შერჩეულ თემასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის აქტივობებით ხდება ბავშვის ჰოლისტური განვითარება.

თემი –ადამიანთა ერთობა, რომელთაც საერთო ინტერესები და იდენტიფიკაცია გააჩნიათ, მაგ.-ად, სამეზობლო, ერთი სოფლის მოსახლეობა, პროფესიული თემი და სხვა.

თვით-კონტროლი – კოგნიტური ფუნქცია. საკუთარი ემოციების, ფიქრების და ქცევის გაკონტროლება იმპულსებისა და საცდურების წინაშე. ეს კოგნიტური ფუნქცია შესაძლებელს ხდის ქცევის დარეგულირებას კონკრეტული ამოცანების/მიზნების მისაღწევად.

თვით-ეფექტურობა – საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, რომ მიაღწევ განსაზღვრულ მიზანს.

თვითრეგულაცია – თვითინიცირებული სტრატეგიები, რომელთა მიზანია ემოციური მდგომარეობისა და ფიზიოლოგიური აგზნების რეგულაცია, გუნება-განწყობის რეგულაცია, ინტერაქციისათვის მომზადება, თვით-დაწყნარება, დაკმაყოფილების გადავადება და აქტივობისა და გარემოს ცვლილებასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გამკლავება.

თვითრეფლექსია – საკუთარი გამოცდილების კრიტიკული გადამუშავების პროცესი, ასევე საკუთარი ქცევისა და აზროვნების ანალიზი, გაცნობიერება, შეფასება, დაგეგმვა და კონტროლი.**

* ჯონსონი, ი., ჯეიმს, ფ., ქრისტი, ფ., უორდლი, ფ. (2005) თამაში, განვითარება და ადრეული განათლება. პირსონ ედუქეიშენ.

** საქართველოს მთავრობა (2017). დადგენილება #488 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838798

ი

იდენტობა – ინდივიდის შინაგანი, საკუთარი თავის შესახებ შემუშავებული სუბიექტური კონცეფცია; საკუთარი თავის იგივეობის განცდა; ტერმინი გამოიყენება მიკუთვნებულობის გამოსახატავად ნებისმიერი ტიპის ჯგუფის მიმართ (მაგ., რასობრივი, ეთნიკური, სქესობრივი, რელიგიური, პროფესიული და სხვა სახის იდენტობა)*.

იმპულსურობა – სხვადასხვაგვარი შინაგანი მოთხოვნების და სურვილების სწრაფად (დაუფიქრებლად) შესრულებაზე უარის თქმის, უნებლიე ქცევის შეჩერებისა და გაკონტროლების სირთულე.

ინდივიდუალიზაცია – ბავშვთან ინდივიდუალური მიდგომებისა და სტრატეგიების გამოყენება, რათა მხარი დავუჭიროთ მის განვითარებასა და კეთილდღეობას და ხელი შევუწყოთ მის საგანმანათლებლო პროცესში ეფექტურ ჩართულობას.

ინდიკატორი – მაჩვენებელი; მიზნის მიღწევის მაჩვენებელი, რაიმე ისეთი, რითაც შეგვიძლია გავზომოთ ესა თუ ის მიზანი შედეგობრივად მიღწეულია თუ არა, მაგ.-ად, თუ მიზანია, ბავშვის სოციალური უნარების განვითარება ამ განვითარების ინდიკატორი-მაჩვენებელი იქნება ის, რომ ბავშვი სხვებს ესალმება, ემშვიდობება, ამბობს მადლობას და ა.შ..

ინკლუზია – ნიშნავს ჩართვას და გულისხმობს ყველას, მათ შორის, განსხვავებული ნიშნის მქონე პირების ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დასაქმებისა და დასასვენებელ ან გასართობ ადგილებში.

ინკლუზიური განათლება – საგანმანათლებლო მიდგომა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს დაწესებულებაში ყველა ბავშვისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებას მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, მიუხედავად ბავშვების ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა.

ინტეგრირებული განათლება – არის განათლების ისეთი ფორმა, როდესაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვები, საგანმანათლებლო დაწესებულებაში, დროის გარკვეულ მონაკვეთს ატარებენ ცალკე, მათთვის სპეციალურად განკუთვნილი პროგრამის ასათვისებლად, დროის გარკვეულ მონაკვეთებში კი სხვა ბავშვებთან ერთად ინტეგრირებულად სწავლობენ და სოციალიზდებიან.

ინტეგრირებული სწავლება – ბავშვის სწავლისა და განვითარების ხელშეწყობა ისეთი მეთოდებითა და სტრატეგიებით, რომლებიც ცოდნას არ ანაწევრებს საგნებად, შესაბამისად, ხელს უწყობს

---

* საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. (n.d.). Retrieved September 14, 2022, from http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=1241

მრავალფეროვანი კომპეტენციების, მათ შორის, საგნობრივის (მაგ.: მათემატიკის, წიგნიერების, ხელოვნების), ერთდროულად განვითარებას.*

ინტერაქცია – ადამიანებს, ფიზიკურ სხეულებს ან სფეროებს შორის ერთმანეთზე ურთიერთქმედება.

ინტერნალიზირებული (შინაგანი) ქცევა – ემოციური რეგულირების სირთულისთვის დამახასიათებელი ქცევა, რომელიც გამოიხატება შფოთვით, ჩაკეტილობითა და დეპრესიით.

ინტერპერსონალური – ის რაც ადამიანებს შორის ურთოერთობების ან კომუნიკაციის დამყარებას მიემართება.

ინტრაპერსონალური – ის რაც საკუთარ თავს მიემართება.

* ალელიშვილი, ნ., ჯანელიძე. ა., ჯიჯავაძე, ნ., & კუხალეიშვილი, თ. (2019). გარემო, რომელსაც უყვარს ბავშვი. გაეროს ბავშვთა ფონდი.

კ

კეთილდღეობა – მდგომარეობა, რომელიც მოიცავს დაცულობისა და კმაყოფილების განცდას. ის გულისხმობს ინდივიდის ეფექტიან სოციალურ ფუნქციონირებასა და მიდრეკილებას ოპტიმიზმისადმი, ღიაობისადმი, ცნობისმოყვარეობისა და მედეგობისადმი.*

კიბერბულინგი – ბულინგის ერთერთი ფორმა, რომელიც გულისხმობს დამაზიანებელი ტექსტის ან ფოტოს გამოქვეყნებას ინტერნეტის, სატელეფონო ზარის ან ციფრული კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით.**

კითხვარი – მონაცემთა შეგროვების მეთოდი, ერთმანეთთან აზრობრივად და ლოგიკურად დაკავშირებული კითხვების (ან კითხვებისა და პასუხების) ნაკრების საშუალებით.***

კოგნიტური განვითარება – იხ. შემეცნებითი განვითარება

კოგნიტური პროცესი – იგივე სააზროვნო პროცესი. პროცესი, რომლის დროსაც იდეები, სურათხატები, სხვა მენტალური (გონებრივი) წარმოდგენები ან ფიქრის სხვა ელემენტები ურთიერთქმედებენ. განასხვავებენ **ქვედა და ზედა დონის სააზროვნო უნარებს** (იხ. შესაბამისი ტერმინები).

კომუნიკაცია – ინდივიდებს შორის ინფორმაციის გადაცემა ვერბალური ან არავერბალური გზით (იხ. **ვერბალური კომუნიკაცია; არავერბალური კომუნიკაცია**). ადამიანებს შორის კომუნიკაციის მიზანია იდეების, ცოდნის, გრძნობებისა და გამოცდილების გაცვლა ან სხვა ინტერპერსონალური და სოციალური მიზნები.

კომუნიკაციური პარტნიორი – ადამიანი/ები, რომელიც ყველაზე ხშირად ურთიერთობს ბავშვთან და რომელსაც გავლენა აქვს ბავშვის კომუნიკაციის განვითარებაზე.

კომპეტენცია – კონკრეტული ამოცანის შესრულებისთვის საჭირო ღირებულებების, ცოდნისა და უნარების ერთობლიობა.

კომპეტენტურობა – თავდაჯერებულობის განცდა რაიმეს წარმატებით შესრულებასთან დაკავშირებით.****

კრიტიკული აზროვნება – სააზროვნო უნარი, რომელიც გულისხმობს ინდივიდის მიერ შეგროვებული ინფორმაციის ანალიზს, შეფასებას, ინტერპრეტაციას და არგუმენტირებული დასკვნების გამოტანას.

კურიკულუმი – განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის შინაარსა და ფორმას (რა და როგორ ვასწავლოთ).

---

* საქართველოს მთავრობა (2017). დადგენილება #488 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838798

** გოჩიაშვილი, ნ., კუხალეიშვილი, თ. (2019) ბულინგის პრევენცია ადრეული ასაკიდან. სახელმძღვანელო ადრეული განათლების სპეციალისტებისთვის. World Vision საქართველო.

*** ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში (n.d.). Retrieved September 11, 2022, http://dictionary.css.ge/content/questionnaire-0

**** საქართველოს მთავრობა (2017). დადგენილება #488 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838798

ლ

ლოგოპედი – იხ. ენისა და მეტყველების თერაპევტი

მ

მაღალი დონის სააზროვნო უნარები – zიხ. ზედა დონის სააზროვნო უნარები.

მედეგობა – იმ დამოკიდებულებებისა და უნარების ერთობლიობა, რომელიც ადამიანს, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და გარემოს რესურსების გამოყენებით, სირთულეებსა და სტრესულ გარემოებებთან გამკლავებაში ეხმარება.

მეთოდი – სხვადასხვა მოვლენათა კვლევისა და შეცნობის სისტემური, წესებზე დაფუძნებული ხერხი

მეთოდოლოგია – პრინციპების, აქტივობებისა და მიდგომების სისტემური ერთობლიობა.

მე – კონცეფცია – ზოგადი წარმოდგენა საკუთარ თავზე.*

მენტალური რეპრეზენტაცია – თვალსაწიერში არარსებული ქმედების ან საგნის შინაგანი ხატი.

მეტყველება – ენის "მოტორული გამოვლინება", სიტყვებისა და წინადადებების შემადგენელი ბგერებისა და ბგერათა კომბინაციების გამოცემის უნარი.

მიდგომა – საკითხისადმი მსოფლმხედველობრივი და სისტემური დამოკიდებულება.

მიკუთვნებულობა – სოციალურ, სივრცით, კულტურულ, პროფესიულ ან სხვა ჯგუფთან ან თემთან მიკუთვნებულობის ან კავშირის ფსიქოლოგიური განცდა.

მიჯაჭვულობა – ძლიერი ემოციური და ფსიქოლოგიური კავშირი ბავშვსა და მის მზრუნველ მოზრდილს შორის, რაც ხელს უწყობს ბავშვის უსაფრთხოებისა და დაცულობის განცდას. მიჯაჭვულობა შესაძლოა იყოს სანდრო ან არასანდო.

სანდო მიჯაჭვულობა იწვევს ბავშვის ფსიქოლოგიურ კეთილდღეობის მედეგობას ცხოვრების მანძილზე და ბავშვის განვითარების წინაპირობაა. სანდო მიჯაჭვულობის მქონე ბავშვი ცნობისმოყვარეა, სიამოვნებით შეიმეცნებს სამყაროს, დედას იყენებს, როგორც „სანდო ბაზას", ადვილად პოულობს მეგობრებს, ადვილად უმკლავდება სტრესს, აქვს კარგი თვითშეფასება.

არასანდო მიჯაჭვულობა სამი სახისაა – განრიდებული, ამბივალენტური და დეზორგანიზებული.

არასანდო – განრიდებული მიჯაჭვულობის დროს ბავშვი არ მიილტვის მზრუნველთან ფიზიკურ კონტაქტისკენ. როდესაც რაღაც აწუხებს ან სტკივა არ ითხოვს დახმარებას, ყველას ერიდება. ბავშვი შეიძლება იყოს ბრაზიანი და დაუმორჩილებელი.

არასანდო – ამბივალენტური მიჯაჭვულობის შემთხვევაში, ბავშვი არ არის დარწმუნებული, რომ მზრუნველის ნდობა შეიძლება, რომ საფრთხის შემთხვევაში ის დაცული იქნება და მიიღებს თანაგრძნობას. ასეთი ბავშვი ბევრს ტირის, ებღაუჭება დედას და მომთხოვნია. ის არის მოუსვენარი, დაძაბული და შფოთავს,

* საქართველოს მთავრობა (2017). დადგენილება #488 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838798

ძალიან არის დამოკიდებული უფროსებზე. რაც შეეხება **არასანდოდეზორგანიზებულ მიჯაჭვულობას,** ბავშვი მშობლის მიმართ შიშს გამოხატავს. მას უჭირს გრძნობებისა და ქცევების კონტროლი, ემოციების გამოხატვა, არ იცის, ვის შეიძლება ენდოს და ვის – არა. მას ახასიათებს შენელებული მოძრაობები, დისოციაციები, გაშეშება, „გაყინული" სახის გამომეტყველება, გუნება-განწყობილების სწრაფი ცვლილება.*

მოდელირება – უნარის, ქცევის ან სხვა მაგალითის მიცემა ბუნებრივ სიტუაციაში/გარემოში. განსხვავებით დემონსტრირებისგან, ამ დროს ექსპლიციტურად (მკაფიოდ) არ არის გამოხატული მოდელირებული ქმედების გამეორების ან სწავლების მიზანი.

მოთხოვნილების გადავადება – სასურველი საგნის მიღების ან სასურველი მოქმედების განხორციელების დროში გადავადების უნარი. მაგ.-ად, ჯერ ვსაუზმობ და შემდეგ გავდივარ ეზოში სათამაშოდ.

მოტორული განვითარება – მსხვილი (იგივე უხეში) და ნატიფი (იგივე წვრილი) კუნთოვანი სისტემის განვითარება, რომელთა გამოყენებითაც ბავშვი ასრულებს ამა თუ იმ მოძრაობას.

მსხვილი მოტორიკა – იხ. უხეში მოტორიკა

მულტიდისციპლინური გუნდი – სხვადასხვა სპეციალისტებისგან შემდგარი გუნდი, რომლის წევრებიც, თავისი კომპეტენციების ფარგლებში, აფასებენ სპეციალური საჭიროებების მქონე პირს და გეგმავენ მისი ფუნქციონირების ხარისხის გაზრდის შესაბამის ღონისძიებებს. ადრეული განათლების სისტემაში მულტიდისციპლინური გუნდის აუცილებელი წევრები არიან ბავშვის მშობელი და აღმზრდელ-პედაგოგი, დანარჩენი შემადგენლობა განისაზღვრება საჭიროებებიდან გამომდინარე – ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი, მეთოდისტი, აღმზრდელი და სხვა.

მხარდაჭერა – ბავშვის მცდელობების, კომუნიკაციის განზრახვების და გადაწყვეტილებების მიმართ პოზიტიურ და დამხმარე როლში ყოფნა.

* საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი (2016) Retrieved September 14, 2022, from http://phf.org.ge/ka/resources/mijachvuloba/

ნ

ნატიფი მოტორიკა – თვალისა და ხელის კოორდინირებული მოძრაობის უნარი, რომელშიც მაჯის, თითებისა და და თვალის სწორი და ირიბი კუნთები მონაწილეობს.

ო

ობიექტის მუდმივობა – ბავშვის უნარი გაიაზროს რომ საგნები განაგრძობენ არსებობას იმ შემთხვევაშიც, თუ ის მათ ვერ ხედავს. ამ უნარის აქტიურ გამოვლენას ბავშვები ერთი წლის ასაკიდან იწყებენ (მად-ად, დამალული ნივთის ძებნა). (ლიტერატურაში შესაძლოა სინონიმად შეგხვდეთ ობიექტის პერმანენტობა).

ობიექტური დაკვირვება – ობიექტური დაკვირვებისას ხდება მხოლოდ, ობიექტური, ფაქტობრივი ინფორმაციის შეგროვება და ის დაცლილია სუბიექტური ინტერპრეტაციებისგან. ამგვარი დაკვირვებისასა უნდა მოხდეს იმ ინფორმაციის დოკუმენტირება, რასაც დამკვირვებელი ხედავს და ისმენს, შესაბამისად ობიექტური დაკვირვების ჩანაწერი შესაძლოა აღწერდეს: მოქმედებას, მეტყველებას, სხეულის ენას, სახის გამომეტყველებას, ნამუშევრებს.

ოკუპაციური თერაპია – ოკუპაციური თერაპია არის პროფესია, რომელიც ეხება ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებას ოკუპაციის (საქმიანობის) გზით. ოკუპაციური თერაპიის ძირითადი მიზანია საშუალება მისცეს ადამიანებს მონაწილეობა მიიღონ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ საქმიანობებში. ოკუპაციური თერაპევტები აღწევენ ამ შედეგს იმით, რომ საშუალებას აძლევენ ადამიანებს შეასრულონ ისეთი საქმიანობა, რომელიც გაზრდის მათი მონაწილეობის უნარს, ან იმით, რომ ცვლიან გარემოს უკეთესი თანამონაწილეობის მიღწევისათვის*.

* ოკუპაციურ თერაპევტთა ასოციაციის განმარტება. WFPT, 2004

პ

პერსპექტივა – აღქმის კუთხე. ადამიანები მოვლენებს და გარემოს სხვადასხვა რაკურსით, სხვადასხვა მხრიდან, სხვადასხვა პოზიციიდან უყურებენ, შესაბამისად აქვთ სხვადასხვა პერსპექტივა. მაგ.-ად, ერთიდაიმავე შენობას ერთი თუ აღმოსავლეთიდან უყურებს და მეორე დასავლეთიდან, ისინი შესაძლოა სხვადასხვა რამეს ხედავდნენ, ანდა რაიმე მოვლენაზე ერთი ადამიანის ხედვა, პერსპექტივა შეიძლება განსხვავდებოდეს მეორე ადამიანის პერსპექტივისგან, რადგან მათ პერსპექტივებს შესაძლოა სხვადასხვაგვარი გამოცდილება, ცოდნა ან რწმენები განაპირობეს.

პირდაპირი სწავლება – სწავლების ტრადიციული ფორმა, როდესაც ცოდნა მასწავლებლის გავლით მოსწავლეს გადაეცემა, პროცესში მოსწავლე აღქმულია მხოლოდ, როგორც ამ ცოდნის მიმღები და ძირითადად გამოყენებულია პოზიტიური და ნეგატიური განმამტკიცებლები (მაგ.-ად ნიშნები, შენიშვნები, წებოვანი ღიმილები ან სურათები).

პრაგმატული ენა – ენის ფუნქციური, სოციალურ კონტექსტთან შესაბამისი გამოყენება.

პროსოციალური ქცევა – თვითნებური ქცევა, რომელიც მიმართულია სხვა ადამინების სარგებლისკენ. მაგ.-ად გაზიარება, დახმარება, მხარდაჭერა, თანამშრომლობა და სხვა.

პოზიტიური დისკრიმინაცია – დისკრიმინაციის ფორმა (იხ. **დისკრიმინაცია**). ადამიანის გამორჩევა რაიმე ნიშნის მიხედვით და მისთვის ან ნიშნის საფუძველზე უპირატესობის მინიჭება. მაგ.-ად საჭირო ოთახში მუდმივად ჯერ გოგოების შეშვება.

პოზიტიური მშობლობა – პატივისცემის, სითბოს გამოხატვა შვილის მიმართ, დახმარების და მხარდაჭერის აღმოჩენა, მასზე ზრუნვა, აღზრდა და სწავლება ჰუმანური გზებით.

პორტფოლიო –კრებული, რომელიც მოიცავს პროგრესის, პროდუქტის ან შესრულებული სამუშაოს ამსახველ სხვადასხვა დოკუმენტაციას. ადრეულ განათლებაში ვხვდებით ბავშვის პორტფოლიოს, რომელიც ასახავს ბავშვის განვითარების პროგრესს და მოიცავს ნამუშევრებს (ნახატი, ნაწერის ნიმუში, ნამუშევრის ფოტო) დაკვირვების/შეფასების შედეგად მიღებულ მრავალფეროვან ინფორმაციას – მიმდინარე დაკვირვების ჩანაწერებს, კითხვარებს, ბავშვების სურათებს სხვადასხვა საქმიანობის შესრულებისას და სხვა; ასევე ვხვდებით აღმზრდელ-პედადოგის პორტფოლიოს, რომელიც ასახავს საგანმანათლებლო პროცესში გაწეულ სამუშაოს და მოიცავს აღმზრდელ პედაგოგის დაკვირვების ჩანაწერებს, რეფლექსურ ჩანაწერებს, პროექტების სქემებს და ა.შ.*

პრაქტიკოსი – განათლების, თერაპიისა და მედიცინის სფეროში მოღვაწე ის ადამიანი, ვინც უშუალოდ მუშაობა

---

* საქართველოს მთავრობა (2017). დადგენილება #488 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838798

სერვისის მომხმარებლებთან, მაგ.-ად, პრაქტიკოსია ექიმი თუ ის უშუალოდ მუშაობს პაციენტებთან და არა ის, ვინც დაკავებულია მხოლოდ სწავლებით ან სამედიცინო სფეროს მენეჯერობით; ადრეული განათლების სფეროში პრაქტიკოსია ის, ვინც უშუალოდ მუშაობს ბავშვებთან და არა, მაგალითად, ბაღის დირექტორი ან ფინანსისტი.

ჟ

ჟესტი – არავერბალური კომუნიკაციის ფორმა, როდესაც იდეის ან გრძნობების გამოხატვის მიზნით, მეტყველების ნაცვლად, ან მეტყველების პარალელურად გამოიყენება სხეულის ნაწილების, განსაკუთრებით ხელის ან თავის მოძრაობა.

ჟესტური ენა – საკუთარი გრამატიკის, სემანტიკისა და პრაგმატიკის მქონე კომუნიკაციის სისტემა – ენა, რომელიც კომუნიკაციისთვის იყენებს ჟესტებს; ძირითადად გამოიყენება სმენის არმქონე ადამიანების მიერ.

რ

რეაბილიტაცია – როდესაც პირი ახლიდან სწავლობს და განივითარებს იმ უნარებს, რომელიც დაკარგა დაზიანების, დაავადების ან შეზღუდული შესაძლებლობის შეძენის პროცესში.*

რეფერირება – გადამისამართება; სკრინინგისათვის, შეფასებისათვის, ჯანმრთელობის გამოსაკვლევად ან რაიმე სერვისში ჩასართავად პირის გადამისამართება ერთი სერვისიდან მეორეში. პროცესი გულისხმობს, გარკვეული დოკუმენტების შევსებას, ინფორმაციის თავმოყრას და იმ სერვისში გადაგზავნას ან პირისთვის გატანებას, სადაც პირს გადავამისამართებთ. მაგ.-ად ბავშვთა დაცვის რეფერირება გულისხმობს, ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში, შესაბამისი მონაცემების მოგროვებას, შესაბამისი პირების გაფრთხილებასა და სერვისებში ამ ინფორმაციის გადაცემას, რათა ბავშვმა მიიღოს ის სერვისი, რომელიც მას დაიცავს და დაეხმარება რეაბილიტაციაში.

რისკ ფაქტორი – გარემოება, რომელიც ზრდის მგრძნობელობას უარყოფითი შედეგებისა და გამოცდილების ფართო სპექტრის მიმართ. მაგ.-ად, დაბალი სასკოლო მზაობის რისკ ფაქტორი შეიძლება იყოს ოჯახის/მშობლების დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსი და დაბალი განათლების დონე, ან ბავშვის სპეციალური საჭიროება, ან დაბალი ხარისხის ადრეული განათლება და ა.შ.

რუტინა – მოქმედებათა თანმიმდევრობა, რომელიც ხშირად მეორდება და აქვს გარკვეულობისა და მოსალოდნელობის მაღალი ხარისხი.

* პაჭკორია, თ. (2011) ინკლუზიური განათლება – ცნებები და ტერმინები“. ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი.

ს

სწავლების უნივერსალური დიზაინი – ბავშვებისათვის ინფორმაციის მიწოდების (სწავლების) მრავალფეროვან საშუალებების გამოყენება (1), ბავშვებისთვის საშუალების მიცემა თავისი ცოდნა და აზრები სხვადასხვაგვარი გზებით გამოხატონ (2), ყველა მოსწავლის ჩართულობის უზრუნველყოფა მათი ინტერესებისა და მოტივაციის წახალისებით (3).

საგანმანათლებლო გარემო – სოციალური, ფიზიკური და დროითი გარემოს, განათლების გაცემაზე ორიენტირებული ერთობლიობა.

საგანმანათლებლო მიდგომა – საგანმანათლებლო ფილოსოფია, მეთოდი და პედაგოგიური სტილი. საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ადრეული განათლების პედაგოგიური მიდგომებია მაგ: რეჯიო-ემილია, მონტესორი, კარგი დასაწყისი და ა.შ.*

საგანმანათლებლო პროცესი – ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების გადაცემის პროცესი.

საგანმანათლებლო რესურსი – ყველა ის მასალა, რომელიც გამოიყენება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისას (მაგ., ქარხნული წესით დამზადებული, თუ ხელნაკეთი სათამაშოები, ბუნებრივი, სამხატვრო და საკანცელარიო, ღია და მეორადი მასალა, ბეჭდური მასალა და ა.შ.).

სემანტიკური განვითარება – მოცემული ენის ლექსიკონის, სიტყვებისა და მისი შინაარსების თანდათანობითი, ასაკის შესაბამისი დაუფლება.

სენსიტიურობა – მგრძნობელობის ხარისხი სხვადასხვა შეგრძნებების – სმენა, მხედველობა, ყნოსვა, გემო, შეხება, მოძრაობა, წონასწორობა – მიმართ.[2] **სენსორულ სტიმულებზე** მგრძნობელობა შეიძლება ვლინდებოდეს **ჰიპერმგრძნობელობით ან ჰიპომგრძნობელობით** (იხ. შესაბამისი ტერმინები)

სენსორული ინტეგრაცია – ბავშვის მხარდაჭერა სენსორული (შეგრძნებითი) არხების: ყნოსვა, მხედველობა, სმენა, გემო, შეხება, მოძრაობა, წონასწორობა – აღგზნების ზღურბლის ბალანსირებაში, რაც ეფექტური ყოველდღიური ფუნქციონირების საწინდარია.

სენსორული სტიმული – მხედველობითი, სმენითი, შეხებითი და სხვა გამღიზიანებლები, რომლებიც მოქმედებს გრძნობათა ორგანოებზე.**

სკრინინგი – შეფასების სწრაფი ფორმა, სირთულის გამოსავლენად და საჭიროების შემთხვევაში, სიღრმისეულ შეფასებაზე გადასამისამართებლად.

სიმბოლური აზროვნება – ნიშნების, სიმბოლოების და აბსტრაქტული მიმართებების გამოყენება, რაც დასტურდება ენით,

* Child Care and Early Education Research Connections (n.d.). Retrieved September 11, 2022, https://www.researchconnections.org/research-tools/childcare-glossary/e

** პაჭკორია, თ. (2011) ინკლუზიური განათლება – ცნებები და ტერმინები. ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი.

ციფრებით, სიმბოლური თამაშით, შემოქმედებითობით და ა.შ.

სიმბოლური თამაში – ბავშვებში სიმბოლოთა გააზრებისა და მენტალური რეპრეზენტაციის უნარების ადრეული განვითარების დემონსტრირება. სიმბოლური თამაშის ელემენტები – დეკონტექსტუალიზაცია (კონტექსტისგან დამოუკიდებლად მოქმედება), დეცენტრაცია (როდესაც თამაშის წამყვანი აგენტი სათამაშო ან გამოგონილი არსება შეიძლება იყოს), ინსტრუმენტების ჩანაცვლება, (მაგ, სათამაშო სავარცხელი, შემდეგ ფანქარი ვითომ სავარცხელი და ბოლოს წარმოსახვითი სავარცხელი) – ჩნდება დაახლოებით წლინახევრიდან და ასაკის მატებასთან ერთად ვითარდება და რთულდება, თავიდან ბავშვი მარტივი სქემებით თამაშობს, ხოლო ზრდასთან ერთად (3 წლიდან და ზევით) სქემები რთულდება და მრავალკომპონენტიანი ხდება.

სინდრომი – დაავადებასთან ან დარღვევასთან ასოცირებული მახასიათებლების (სიმპტომების) ერთობლიობა.

სოციალიზაცია – პროცესი, რომლის დროსაც ინდივიდი სწავლობს სოციუმში ფუნქციონირებას, საზოგადოებაში არსებული ნორმების, ღირებულებების, ქცევებისა და სოციალური უნარების ათვისების გზით.

სოციალურ-ემოციური განვითარება – ბავშვის მიერ საკუთარი თავის შეცნობა, საკუთარი ემოციების ამოცნობა, სხვისი ემოციების გაგება, თანაგანცდა, ძლიერი ემოციების, იმპულსებისა და ქცევის მართვა. სფერო ასევე მოიცავს იმ უნარებს, რომელიც სჭირდება ბავშვს პოზიტიური ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად როგორც გარშემომყოფებთან, ისე საკუთარ თავთან.

სოციალური თამაში – თამაშის ფორმა, რომელიც გულისხმობს ბავშვებს შორის თანამშრომლობით ურთიერთქმედებას.

სოციალური კომპეტენცია – სოციალური კომპეტენციის შემადგენელი ნაწილებია პროსოციალური და მორალური განვითარება. პროსოციალური და მორალური განვითარების ერთი ასპექტი დანაშაულის გრძნობის განვითარებაა, ეს არის კომბინაცია ემპათიის და იმის გააზრებისა, რომ შენ შეიძლება ვინმეს დისტრესი გამოიწვიო და ეს უნივერსალური ადამიანური ემოციაა. ეს გრძნობა ვითარდება 3-8 წლის ასაკში და დაკავშირებულია შემდეგ პერიოდში ისეთი კონცეფციების განვითარებასთან როგორიცაა სამართლიანობა და სამართალი. ის, რომ ბავშვებს დროთა განმავლობაში უყალიბდებათ ბალანსი ინდივიდუალურ და საზოგადო სამართლიანობასთან დაკავშირებით, გონების თეორიის (იხ. გონების თეორია) განვითარების დამსახურებაა, ისინი სწავლობენ რომ მათი და სხვისი პერსპექტივა კეთილდღეობაზე შესაძლოა განსხვავებული იყოს.

სტანდარტი – 1. ტიპობრივი ნიმუში, რასაც ზომის, ფორმის, ხარისხის და მისთ. მიხედვით უნდა შეესაბამებოდეს რაიმე ნაწარმი; რისამე საზომი, ნიმუში, ნორმა, საფუძველი.*
2. დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია რაიმეს ნორმა, მოდელი, ნიმუში. მაგ-ად ბავშვის განვითარების

* საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. (n.d.). Retrieved September 14, 2022, from http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=38198

სტანდარტში გაწერილია სტანდარტები და ინდიკატორები, რომელიც აღწერს ბავშვის განვითარების ტიპურ პროცესს და ეს დოკუმენტი საბავშვო ბაღებში გამოყენებულია ბავშვების შეფასების და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის მიზნით.

სტრატეგია – მიზნის მისაღწევად შემუშავებული, დაგეგმილი ქმედებების ერთობლიობა. **საგანმანათლებლო სტრატეგიები** პრაქტიკოსის მიერ განხორციელებული გამიზნული ქმედებებია, რომლებიც ბავშვების ეფექტურ სწავლასა და განვითარებას ემსახურება.

სტერეოტიპული ქცევა – მთლიანი სხეულის, სხეულის ცალკეული ნაწილების ან საგნების განმეორებითი მოძრაობები, მაგ: რწევა, თავის, ხელისა და ფეხების ქნევა, საგნების ქნევა, გაღება-დახურვის მოძრაობები და სხვა. ამ ქცევის მიზანი შესაძლოა იყოს თავის დამშვიდება, გარემოსგან განრიდება ან თვით-სტიმულაცია.

სტრესი – ორგანიზმის რეაქცია გამოწვევების, მასტიმულირებელი მოვლენების საპასუხოდ, რომელიც ვლინდება ფიზიკური და ემოციური შეგრძნებებით. გამოყოფენ სტრესის სამ დონეს: პოზიტიური სტრესი, ასატანი სტრესი და ტოქსიკური სტრესი.

სპეციალური საჭიროებები – მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს ინდივიდისთვის დამატებით, სპიციალიზირებულ მიდგმებსა თუ სერვისებს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები – მდგომარეობა, როდესაც ვლინდება სწავლის სირთულეები, რომელთა დასაძლევად მსწავლელი საჭიროებს დამატებით/ სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას.

სპეციალური განათლების პედაგოგი (სპეც. მასწავლებელი) – განათლების სფეროს დიპლომირებული სპეციალისტი, რომლის კომპეტენციაშიც შედის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისა და მოსწავლეების მხარდაჭერა, მათი სასწავლო გეგმების მორგება და ადაპტირება, პედაგოგებისა და მშობლების კონსულტირება

სხვისი პერსპექტივის დანახვა – არის უნარი, გაიაზრო სიტუაცია სხვისი თვალთახედვიდან და პოზიციიდან, წარმოიდგინო საკუთარი თავი სხვის ადგილას, რათა მიხვდე რას იგრძნობდი, იფიქრებდი და გააკეთებდი იგივე სიტუაციაში (ასევე იხ. გონების თეორია).

სწავლა – პროცესი, რომელიც ცოდნის მიღებას გულისხმობს.

სწავლება – საქმიანობა, რომელიც ცოდნის გადაცემას გულისხმობა.

სწავლის სირთულეები – ქოლგა ტერმინი, რომელიც აერთიანებს იმ გამოწვევებს, რომელიც გავლენას ახდენს ინდივიდის სწავლის უნარზე.

ტ

ტანტრუმი – პატარა ბავშვებში უკონტროლო ბრაზისა და იმედგაცრუების უეცარი ამოფრქვევა, რომელიც ძლიერი ტირილით, ყვირილი, ფეხების ბაკუნით, იატაკზე გაწოლითა და/ან საგნების სროლით ვლინდება.

ტიპური განვითარება – ბავშვის განვითარება რომელიც ნორმის ფარგლებში მიმდინარეობს, ანუ მიყვება განვითარების ნიშანსვეტებსა და ასაკობრივ პერიოდებს.

ტოლერანტობა – განსხვავებული შეხედულების, აღმსარებლობის, კულტურისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება. ტოლერანტობის საერთაშორისო დეკლარაციის შესაბამისად, ტოლერანტობა ეს არის ომის კულტურის შეცვლა მშვიდობის კულტურით.

ტრანზიცია – 1. ერთი გარემოდან მეორე გარემოში გადასვლის პროცესი, რომელიც ბავშვისთვისაც და ოჯახისთვისაც გარკვეულ სიახლეებსა და ამასთან დაკავშირებულ მღელვარებასთან ასოცირდება. მაგ.-ად ბავშვი პირველად მიდის ბაღში. ბაღთან შეგუების პროცესი, ამ შემთხვევაში, ტრანზიციის პროცესის გავლაა. **2. ტრანზიცია** გულისხმობს ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლის პროცესს, რაიმე დასრულებას და ახლის დაწყებას. მაგ.-ად ეზოდან ჯგუფში ამოსვლა სადილისთვის.

უ

უგულვებელყოფა – ბავშვის ფიზიკური (მათ შორის, კვება, ჰიგიენა, საცხოვრისი), ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის ან/და ბავშვისათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოწესრიგებისათვის, აგრეთვე, სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა.

უნივერსალური დიზაინი – გარემოს, შენობების ინფრასტრუქტურის მოწყობა/ადაპტაცია, საჭირო ტექნოლოგიებით აღჭურვა იმისთვის, რომ გარემო მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს ყველა ადამიანისთვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რომელთაც აქვთ გადაადგილების სირთულე, სმენის ან მხედველობის დარღვევა და სხვა.*

უხეში მოტორიკა – არის ბავშვის უნარი, აკონტროლოს კიდურები და მსხვილი კუნთები, რომელთა საშუალებითაც იგი ახერხებს თავის დაჭერას, ჯდომას, სიარულს, სირბილსა და სხვა.

* საქართველოს მთავრობა (2017). დადგენილება #488 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838798

ფ

ფიზიკური განვითარება – ბავშვის ფიზიკური ზრდა, მისი მსხვილი და ნატიფი მოტორული უნარების განვითარება, სენსორული უნარების განვითარება.

ფონოლოგია – ენათმეცნიერების მიმართულება, რომელიც შეისწავლის ენის სამეტყველო ბგერებს – როგორ გამოითქმის ცალკეული ბგერა სიტყვაში და როგორ აღვიქვამთ მას.

ფონოლოგიური ცნობიერება – სამეტყველო ბგერის ზუსტი აღქმისა და ამ ბგერებით სხვადასხვა მოქმედებების შესრულების უნარი, მაგ: დამარცვლა, პირველი ბგერის გამოყოფა, სიტყვის ბგერებად დაშლა და ა.შ. ეს უნარი ხელს უწყობს ბავშვს შემდგომში წერა-კითხვის უნარების დაუფლებაში.

ფუნქციური სივრცე – ფიზიკური გარემოს ცალკეული სივრცე, რომელიც მოწყობილია კონკრეტული საქმიანობ(ებ)ის შესაბამისი სპეციფიური რესურსითა და ავეჯით.

ქ

ქვედა დონის სააზროვნო უნარები – დამახსოვრება, გამეორება, მიბაძვა (იმიტირება), დაზეპირება, ინფორმაციის შეგროვება, მითითებებისა და წესების შესრულება, ნიმუშის მიხედვით მოქცევა.

ქცევა – ორგანიზმის მოქმედება გარე თუ შიდა სტიმულებზე საპასუხოდ.

რთული ქცევა – ქცევა, რომელიც ბავშვის ან მის გარშემომყოფების ფუნქციონირებაზე არასასურველ გავლენას ახდენს.

ღ

ღია კითხვები – კითხვა, რომელზე პასუხიც მსჯელობას საჭიროებს. პასუხი ვერ გაიცემა მხოლოდ დათანხმებით, უარყოფით ან რიცხობრივი მონაცემების დასახელებით.

ღია მასალა – საგანმანათლებლო რესურსის ტიპი, რომლის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვანაირად. ღია მასალა შესაძლოა იყოს როგორც ბუნებრივი (მაგ., კენჭები, ჯოხები, ფოთლები, ბუმბული და ა.შ.), ასევე ქარხნული (მაგ., მინისა და ხის ბურთულები, მუყაოს ყუთები, ქსოვილის ნაჭრები, კუბურები და ა.შ.).*

* საქართველოს მთავრობა (2017). დადგენილება #488 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838798

ყ

ყურადღება – კოგნიტური პროცესი, რომელიც გულისხმობს ცნობიერების ფოკუსირებას გარკვეული საგნისა თუ მოვლენისადმი გარკვეული დროის განმავლობაში.*

* პაჭკორია, თ. (2011) ინკლუზიური განათლება – ცნებები და ტერმინები“. ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი.

შ

შეგრძნება – აღქმის პროცესი, რომელიც წარმოიშობა გრძნობის ორგანოების გაღიზიანებით.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი – პირი ჩამოყალიბებული ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევით; ამ დარღვევათა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს მის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულ და ეფექტიან მონაწილეობას, სხვებთან თანაბარ პირობებში.*

შემეცნებითი განვითარება – შემეცნების პროცესის განვითარება, რომელიც მოიცავს წარმოსახვის, აღქმის, აზროვნებისა და ამოცანის გადაწყვეტის კომპეტენციებს.

შემოქმედებითობა – ორიგინალური და უჩვეულო იდეების წარმოების და ასევე რაიმეს შესაქმნელად წარმოსახვისა და ორიგინალური მიგნებების გამოყენების უნარი.

შეფასება – დაკვირვების, კითხვარების, ინტერვიუების და სხვა გზებით შეგროვებული ინფორმაციის დამუშავება და გაანალიზება დასკვნების გამოსატანად და დასაგეგმად.

შეწყობა – ბავშვის ემოციური აღგზნებისა და დამშვიდების ნიშნების კარგად წაკითხვის უნარი და ბავშვის დახმარება/მხარდაჭერა ემოციური რეგულაციის უნარების ჩამოყალიბებაში.

შფოთვა – ნერვიულობისა და ღელვის არაკომფორტული შეგრძნება იმაზე რაც ხდება ან შესაძლოა მოხდეს მომავალში. ის ხასიათდება დაძაბულობის სომატური სიმპტომებით (ოფლიანობა, კუნთების დაძაბვა, სუნთქვის გახშირება, გულისცემის აჩქარდება) და შიშის შეგრძნებით, რომ რაღაც ცუდი მოხდება. შფოთვითი რეაქცია წარმოიშობა ობიექტური მიზეზების არარსებობის ფონზეც.

* საქართველოს პარლამენტი (2020) საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებების შესახებ.

ჩ

ჩრდილში დაკვირვება – პასიური დაკვირვების პროცესი, როდესაც დამკვირვებელი არ ერთვება დასაკვირვებელი სუბიექტის ან ჯგუფის აქტივობებში, არ აძლევს მითითებებს და არ შედის კომუნიკაციაში.

ც

ცენტრი – იხ. ფუნქციური სივრცე
ცნება – საერთო წარმოდგენა, განზოგადებული აბსტრაქტული აზრი რაიმე საგნისა თუ მოვლენის შესახებ.

ძ

ძალადობა – პირის მიერ ბავშვის (ამ შემთხვევაში) კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით, მიუხედავად იმისა, ეს ქმედება განხორციელდა/ხორციელდება განზრახვით ან/და განზრახვის გარეშე. ძალადობის ფორმებია: ვერბალური, ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ძალადობა, იძულება და უგულვებელყოფა (ასევე იხ. **უგულვებელყოფა**)*.

* საქართველოს პარლამენტი (2016) დადგენილება №437 ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე

წ

წარმატებული პრაქტიკა – პროფესიული საქმიანობა, რომელიც კოლეგების და/ან დარგის ექსპერტების მხრიდან მიღებული და შეფასებულია, როგორც ყველაზე ეფექტური.

წვრილი მოტორიკა – იხ. ნატიფი მოტორიკა

ხ

ხარაჩოს მეთოდი – ბავშვისთვის ნაბიჯ-ნაბიჯ დახმარების გაწევა, რათა მან უფრო ეფექტიანად გააკეთოს ის, რის გაკეთებაც მას ჯერ დამოუკიდებლად არ შეუძლია, დროთა განმავლობაში ნაკლები დახმარების გაწევა და დამოუკიდებლად მოქმედების საშუალების მიცემა;*

ხელმისაწვდომობა – ბავშვისთვის და მისი ოჯახისთვის საგანმანათლებლო სერვისებში მაქსიმალურად ჩართვის შესაძლებლობა, შეფერხების გარეშე.

* საქართველოს მთავრობა (2017). დადგენილება #488 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838798

ჯ

ჯილდო – რაიმე ქცევის ან მოვლენის წასახალისებლად გაწეული ქმედება. ჯილდო შესაძლებელია იყოს მატერიალური ან არამატერიალური. არამატერიალური, სოციალური ჯილდოს სახეობებია: ტაშის დაკვრა, გაღიმება, საქმიანობის აღნიშვნა-დაფასება, მაღალი ქულის ან ნიშნის დაწერა. მატერიალური ჯილდოს სახეობებია: რაიმე ნივთის გადაცემა ან ფულადი ჯილდო.

ჰ

ჰიპერაქტივობა – ქცევა, რომელიც ხასიათდება გადაჭარბებული მოტორული აქტიურობითა და მოუსვენრობით.

ჰიპერმგრძნობელობა – სენსორულ სტიმულებზე ექსტრემალურად მაღალი მგრძნობელობა. ეს შეიძლება იყოს განსაკუთრებული რეაქცია ისეთ სტიმულებზე როგორიცაა განათება, ხმა, შეხება, გემო, სუნი.

ჰიპერსენსიტიურობა – იხ. ჰიპერმგრძნობელობა.

ჰიპომგრძნობელობა – სენსორულ სტიმულებზე განსაკუთრებით დაბალი მგრძნობელობა. შესაძლოა ხასიათდებოდეს შემდეგი რომელიმე ან რამდენინე მოთხოვნილებით: ძლიერი შეხების მოთხოვნილება (ჩახუტება, დაზელვა, იატაკზე კოტრიალი, ტკივილის შეგრძნების დაქვეითება) ხმისა და ხმაურის გამოწვევის მოთხოვნილება, (საგნების ერთმანეთზე დარტყმა, ძირს დაგდება ან სხვა ხმის გამოსაწვევად), განათების ან ბრჭყიალა საგნების ყურების მოთხოვნილება, გემოსადმი (სხვადასხვა ტექსტურის მქონე საგნების ღეჭვა), მძაფრი სუნის მქონე საგნების ყნოსვა და ა.შ.

ჰიპოსენსიტიურობა – იხ. ჰიპომგრძნობელობა

ჰოლისტური განვითარება – გულისხმობს განვითარების მთლიანობით ბუნებას და შესაბამისი პრაქტიკის უზრუნველყოფას, ამ იდეის თანახმად, ბავშვის კეთილდღეობისთვის ფიზიკური, სოციალური, ემოციური და შემეცნებითი კომპეტენციები თანაბრად მნიშვნელოვანია, რამდენადაც განვითარების ყველა სფერო ურთიერთდამოკიდებული და დაკავშირებულია.